





# “ზიგზაგზე ფრთხილი

სრული  
შინაგადი

ზიგმუნდ ფროიდი  
რჩეული შრომები

Sigmund Freud  
AUSGEWÄHLTE WERKE

Totem und Tabu  
Die Zukunft einer Illusion  
Das Unbehagen in der Kultur  
Eine Kindheitserinnerung des Leonardo da Vinci  
Dostojewski und die Vätertötung

გერმანულიდან თარგმნა მარია ბადრიძემ

© 1974 S. Fischer Verlag, Frankfurt am Main  
© 1974 The Institute of Psycho-Analysis, London  
© 1974 Angela Richards, Eynsham  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018, 2022  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-775-6

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

ტოტემი და ტაბუ .....	7
ერთი ილუზიის მომავალი .....	191
კულტურით უკმაყოფილება .....	249
ლეონარდო და ვინჩის ბავშვობის მოგონებები.....	337
დოსტოევსკი და მამის მკვლელობა .....	419



## ტოტემი და ტაბუ

ზოგიერთი თანხვედრა ველურთა და ნევრო-  
ზით დაავადებულთა ფსიქიკურ ცხოვრებაში  
(1912-13)





## I. ინცესტის შიში

ისტორიამდელი ადამიანების განვითარების გზას შეგვიძლია ჩვენამდე მოღწეული მატერიალურ-კულტურული ძეგლებისა თუ საომარი და სამუშაო იარაღების წყალობით მივადევნოთ თვალი. დიდ სამსახურს გაგვინევს ასევე ცნობები ხელოვნებაზე, რელიგიასა და მსოფლმხედველობაზე, რომლებიც მითებმა, ლეგენდებმა და ზღაპრებმა შემოგვინახა და ჩვენამდე პირდაპირი თუ ტრადიციული გზებით მოაღწია. საინტერესოა აზროვნების ის ნესიცი, რომლის გამოძახილიც წეს-ჩვეულებებში გვხვდება. ამასთან, გარკვეული თვალსაზრისით, ისინი ჩვენი თანამედროვეებიც არიან. დღესაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც, ჩვენი წარმოდგენით, პირველყოფილ ტომებთან მეტ სიახლოვეს ავლენენ, ვიდრე ჩვენთან; ეს ადამიანები უძველესი ტომების უშუალო შთამომავლებად და წარმომადგენლებად მიგვაჩნია. ამ ეგრეთ წოდებული ველური და ნახევრად ველური ტომების სულიერი ცხოვრება ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იძენს, რადგან ის თანამედროვე ადამიანის განვითარების წინა საფეხურის განჭვრეტის საშუალებას იძლევა.

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ „პირველყოფილი ტომების ფსიქოლოგია“, რომელზეც ეთნოგრაფების წყალობით გვექმნება წარმოდგენა, ბევრ საერთო ნიშანს ავლენს ნევროზით დაავადებულთა ფსიქოლოგიასთან, რომელსაც, თავის მხრივ, ფსიქონალიზის მეშვეობით ვეცნობით და რომელიც ჩვენთვის ცნობილ პრობლემებს ახლებურად წარმოაჩენს.

სხვადასხვა მიზეზის გამო შედარებისთვის იმ პირველყოფილ ტომებზე შევაჩერებ ყურადღებას, რომლებსაც ეთნოგრაფები საბრალო ჩამორჩენილ ველურებად მოიხსენიებენ: ყველაზე ახალგაზრდა კონტინენტის – ავსტრალიის – აბორიგენებზე, კონტინენტისა, რომლის ფაუნამაც კი დედამიწის სხვა ადგილებისგან განსხვავებული არქაული სახეობები შემოგვინახა.

ავსტრალიელი აბორიგენები განსაკუთრებულ რასად მიიჩნევა, რომელიც თავის უშუალო მეზობლებს, მელანეზიელ, პოლინეზიელ და მალაიზიელ ხალხებს, არც ფიზიკურად ენათესავება და არც ლინგვისტურად. ისინი არ აშენებენ სახლებს, არ აქვთ გამძლე ქოხები, არ მისდევენ მინათმოქმედებას, არ ჰყავთ შინაური პირუტყვი, გარდა ძაღლისა, მათთვის მეთუნეობაც კი უცხოა. იკვებებიან მხოლოდ ნანადირევით და მცენარეების ფესვებით. არც მეფეები ჰყავთ, არც ბელადები და საერთო პრობლემებს ტომის უხუცესთა შეკრებებზე წყვეტენ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ რელიგიურ წარმოდგენებში უზენაეს არსებათა თაყვანისცემის ნიშნები აღმოვაჩინოთ. კონტინენტის სიღრმეში მცხოვრებ ტომებს წყლის ნაკლებობის გამო ურთულეს პირობებში უწევთ არსებობა და მრავალი თვალსაზრისით, სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

ცხადია, სქესობრივი ცხოვრების დროს ამ საბრალო შიშველი კანიბალებისაგან არც ეთიკური ნორმების დაცვას უნდა ველოდეთ და არც სექსუალური ინსტინქტების მოთოკვას, თუმცა ინცესტურ კავშირებს განსაკუთრებული გულმოდგინებით გაურბიან. უფრო მეტიც, მთელი მათი სოციალური ორგანიზაცია ამ მიზნისკენაა მიმართული და ამაზეა აგებული.

რელიგიური და სოციალური ინსტიტუტების ნაცვლად ავსტრალიაში ტოტემიზმის სისტემა გვხვდება. ავსტრალიური ტომები პატარა ოჯახებად, ანუ კლანებად, იყოფა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ტოტემის სახელი ჰქვია. რა არის ტოტემი? როგორც წესი, ის ცხოველია, რომელიც იჭმება; ის შეიძლება უვნებელი ან შიშის მომგვრელი იყოს. ზოგჯერ ის მცენარე ან ბუნების სტიქიაა (წვიმა, წყალი), რომელსაც მთელ ოჯახთან განსაკუთრებული კავშირი აქვს.

ტოტემი, პირველ რიგში, გვარის ფუძემდებელი, ასევე მფარველი ანგელოზი და შემწეა, რომელიც ოჯახის წევრებს წინასწარ აცხობინებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, განსაცდელს არიდებს და იცავს მათ, მაშინაც კი, როცა, ჩვეულებრივ, ეს ტოტემი სხვებისთვის საშიშია. ტოტემის წევრთა მოვალეობა წმინდათანმინდა – არ მოკლან (გაანადგურონ) ტოტემი და თავი შეიკავონ მისი ხორცის ჭამისგან (ან მასთან დაკავშირებულ სხვა ტიპის სიამოვნებათაგან). ამ მოვალეობის შეუსრულებლობა მკაცრად ისჯება. ტოტემის ხასიათი ცალკეულ ცხოველს ან ცალკეულ არსებას არ უკავშირდება, ის მისი სახეობის თითოეულ ინდივიდზე ვრცელდება. დროდადრო იმართება დღესასწაულები და რიტუალური ცეკვები, რომლებსაც ტოტემის წევრები ასრულებენ და ტოტემის მოძრაობებსა და მის თავისებურებებს გადმოსცემენ ან ბაძავენ.

ტოტემი, შეიძლება, მემკვიდრეობით გადაეცეს როგორც დედის, ისე მამის ხაზით. სავარაუდოდ, უპირველესი ყველგან დედის ხაზია, რომელსაც შემდეგ მეორე – მამის ხაზი ჩაენაცვლა. ავსტრალიაში ტოტემთან მიკუთვნებულობა ყველა სოციალური ვალდებულების საფუძველია, რომელიც, ერთი მხრივ, სცდება ტომისა თუ კლანის მიკუთვნებულობას და მეორე მხრივ, უკანა პლანზე სწევს სისხლით ნათესაობას<sup>1</sup>.

ტოტემი რომელიმე კონკრეტულ ადგილს არ უკავშირდება. ტოტემის წევრები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და სხვა ტოტემის წევრებთან ერთად სრულიად მშვიდობიანად თანაარსებობენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფრეიზერი (1910, ტ. 1, 53): „ტოტემური კავშირები ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე სისხლით ნათესაობა ან ოჯახური კავშირები დღევანდელი გაგებით“.

<sup>2</sup> ტოტემური სისტემის ეს პატარა ნაწილი აუცილებლად უნდა განიმარტოს: სიტყვა ტოტემს, ტოტემის ფორმით, ინგლისელი ჯ. ლონგი ჩრდილოამერიკელ წითელკანიანებს დაესახა. საკუთრივ ამ პრობლემამ მეცნიერებაში დიდი გამოძახილი პოვა და მას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთაგანაც ფრეიზერის ოთხტომეულს „Totemism and Exogamy“-სა და ენდრიუ ლენგის ნიგნებსა და წერილებს („The Secret of the Totem“) გამოვყოფდი. კაცობრიობის ისტორიაში ტოტემიზმის მნიშვნელობის შესწავლას შოტლანდიელ ჯ. ფერგუსონ მაკლენანს უნდა ვუზადლოდეთ. ტოტემური სისტემა, ავსტრალიის გარდა, არსებობდა და დღესაც არსებობს ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ტომებში, ოკეანის კუნძულებზე მცხოვრებ

ახლა კი ტოტემური სისტემის ის თავისებურებები განვიხილოთ, რომლებითაც ის ფსიქოანალიტიკოსის ყურადღებას იქცევს. თითქმის ყველაგან, სადაც ტოტემი არსებობს, არსებობს კანონიც, რომლის თანახმადაც ერთი და იმავე ტოტემის წევრებს ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობა, შესაბამისად, ერთმანეთზე დაქორწინება ეკრძალებათ. ეს ტოტემთან დაკავშირებული ეგზოგამიაა.

ეს აკრძალვა, რომელსაც მთელი სიმკაცრით იცავენ, ერთობ უცნაურია. ამ კანონს ვერ ამართლებს ვერც ერთი ის წარმოდგენა, რომელიც ტოტემის ცნებისა და მისი თავისებურების შესახებ გვექმნება; შესაბამისად, გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა ეს კანონი ტოტემიზმის სისტემაში. ამიტომ არც მკვლევართა ის ვარაუდი გვაკვირვებს, რომ თავდაპირველად ეგზოგამიას ტოტემიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა და მას ის ოდესღაც ყოველგვარი ღრმა კავშირის გარეშე დაემატა, როგორც კი ქორწინების შეზღუდვის აუცილებლობა გაჩნდა. ასეა თუ ისე, ეგზოგამიასა და ტოტემიზმს შორის კავშირი არსებობს და ეს კავშირი ერთობ მტკიცეა.

---

ხალხებში, აღმოსავლეთ ინდოეთსა და აფრიკის უდიდეს ნაწილში. ტოტემიზმის კვალი არიული და სემიტური წარმოშობის ხალხებშიც გვხვდება. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ტოტემიზმი კაცობრიობის განვითარების აუცილებელი საფეხური იყო.

როგორ გაჩნდა ტოტემიზმი? როგორ მოხდა, რომ ამა თუ იმ ცხოველისგან წარმოშობა ისტორიამდელი ადამიანის სოციალური ვალდებულებებისა და როგორც მერე ვნახავთ, სექსუალური შეზღუდვის საფუძვლადაც იქცა? არსებობს უამრავი თეორია, რომლებზეც მკითხველს წარმოდგენას ვუნდტის „ხალხთა ფსიქოლოგია“ უქმნის, თუმცა ერთიანი პოზიცია ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. გპირდებით, რომ ამ საკითხს ჩემს კვლევაში განსაკუთრებულ ყურადღებას დავეუბნებ და მის გადასაჭრელად ფსიქოანალიზურ მეთოდს დავეყრდნობი.

არათუ ტოტემიზმის თეორიაა სადავო, არამედ ამ ფაქტის ზოგადი ფრაზებით აღწერაც თითქმის შეუძლებელია. არ არსებობს მტკიცებულება, რომელსაც რამე გამონაკლისი არ უპირისპირდებოდეს ან წინააღმდეგობა არ აღმოაჩნდეს. არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ პრიმიტიული და კონსერვატორი ხალხებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ძველი ხალხებია, რომლებმაც ისტორიის გრძელი გზა განვლეს და განვითარება და ცვლილება განიცადეს. ასე რომ, ტოტემიზმი ბევრგან დაშლის, ნგრევის ან სხვა რელიგიურ და სოციალურ ინსტიტუტად გარდაქმნის ფაზამია, ან რომელიმე კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელი ისეთი ფორმა მიიღო, რომელიც თავდაპირველ არსს საგრძნობლად დაშორდა.

- ახლა კი ვეცდები, უკეთ განვმარტო ამ აკრძალვის მნიშვნელობა.
- ა) აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში ტომის წევრები არ ელოდებიან, როდის დაისჯება დამნაშავე, ასე ვთქვათ, ავტომატურად, როგორც ეს ტოტემის სხვა აკრძალვის დარღვევის დროს ხდება (მაგ., ტოტემის ცხოველის მოკვლის შემთხვევაში), არამედ მთელი ტომი მას უმკაცრესად სჯის, თითქოს საქმე მთელი ტომის უსაფრთხოებასა და მძიმე დანაშაულს ეხებოდეს. რამდენიმე პასაჟი ფრეიზერის<sup>1</sup> წიგნიდან ნათლად გვიჩვენებს, რა სერიოზულად ეკიდებიან ამგვარ დანაშაულს, როგორც ჩვენ მივიჩნევთ, ყველა სხვა თვალსაზრისით სრულიად უზნეო ველურები.

- „ავსტრალიაში აკრძალული კლანის წარმომადგენელთან სქესობრივი კავშირი სიკვდილით ისჯება. მნიშვნელობა არ აქვს, ქალი ამ კლანის წევრია თუ ის სხვა ტომთან ომის დროს ჩაიგდეს ტყვედ, მტრული კლანის კაცს, რომელიც მასთან სქესობრივ ურთიერთობას დაამყარებს, მისივე კლანის წევრები იჭერენ და კლავენ, ისევე როგორც ქალს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, თუ მათ რალაც ხანს თავი დააღწიეს ამ დევნას, შეურაცხყოფას აპატიებენ. ახალ სამხრეთ უელსში ტა-ტა-ტის ტომში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მხოლოდ კაცი მოკლეს, ქალს კი სასტიკად სცემდნენ ან ისრებით ცხრილავდნენ, ან ორივენიარად სჯიდნენ და სიკვდილის პირას მიჰყავდათ. მიზეზი, რის გამოც ქალს მაშინვე არ კლავდნენ, ის მოსაზრება იყო, რომ შეიძლებოდა ქალი ძალადობის მსხვერპლი ყოფილიყო. შემთხვევითი სექსუალური კავშირებისასაც კლანის აკრძალვებს მკაცრად იცავენ, მათი დარღვევა მძიმე დანაშაულადაა მიჩნეული და სიკვდილით ისჯება“ [კემერონის მიხედვით (1885, 351)].
- ბ) ასევე მკაცრად ისჯება დროებითი სასიყვარულო კავშირებიც, თუ შედეგად ბავშვი არ დაიბადა; ამიტომ აკრძალვის სხვა რომელიმე პრაქტიკული მოტივის დაშვება ნაკლებ სავარაუდოა.

<sup>1</sup> ფრეიზერი (1910, ტ. 1, 54).

- გ) რადგან ტოტემი მემკვიდრეობითია და არც ქორწინების შედეგად იცვლება, ამიტომ იოლად შეგვიძლია განვჭვრიტოთ აკრძალვის ის შედეგები, როცა ტოტემი დედის ხაზით გადაეცემა. თუ მაგალითად, მამაკაცი კენგურუს ტოტემის კლანის წევრია და ემუს ტოტემის წევრზე დაქორწინდა, მაშინ მათი შვილებიც, ვაჟი იქნება ის თუ ქალიშვილი, ემუს ტოტემის წევრები ხდებიან. ამ ქორწინების შედეგად გაჩენილ ვაჟს, ტოტემის კანონის შესაბამისად, მკაცრად ეკრძალება ინცესტური კავშირი დედასა და დებთან, ანუ ემუს ტოტემის წევრებთან<sup>1</sup>.
- დ) საკმარისია ერთადერთი მითითება, რათა დავინახოთ, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოტემთან დაკავშირებულ ეგზოგამიას და რამდენად მეტს ისახვს ის მიზნად, ვიდრე დედასა და დებთან ინცესტური კავშირის თავიდან აცილება. მამაკაცს ეკრძალება სექსუალური კავშირის დამყარება საკუთარი ტომის ნებისმიერ ქალთან, იმათთან, ვინც მისი სისხლით ნათესავი არ არის, თუმცა მათ ისე უნდა მოექცეს, როგორც სისხლით ნათესავს. ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ამ ტოტალური აკრძალვისა, რომელიც თავისი მასშტაბურობით სცდება იმ ყველაფერს, რაც შეიძლება, ცივილიზებული ხალხის ყველა აკრძალვას გაფუტოლოთ, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარია. ერთადერთი, რასაც ვხვდებით, ისაა, რომ ტოტემის (ცხოველის), როგორც წინაპრის როლი, განუზომლად დიდია და მას უკიდურესი სერიოზულობით ეპყრობიან. ყველა, ვინც ერთი ტოტემიდან წარმოდგება, სისხლით ნათესავია, ერთ ოჯახს შეადგენს და ამ ოჯახში სექსუალური კავშირი, თუნდაც შორეულ ნათესავთან, სრულიად დაუშვებელია.

<sup>1</sup> მამას, რომელიც კენგურუს ტოტემს ეკუთვნის, აკრძალვის ამ კანონის თანახმად, ემუს ტოტემის ქალიშვილთან ინცესტის საშუალება ეძლევა. ტოტემის მამის ხაზით მემკვიდრეობის შემთხვევაში მამა კენგურუს ქალიშვილ კენგურუსთან ინცესტი ეკრძალება, დედასთან ვაჟის ინცესტი კი ნებადართულია. ტოტემური აკრძალვის ეს შედეგები მოუთითებს, რომ დედის ხაზით ტოტემური მემკვიდრეობითობა უფრო ძველია, ვიდრე მამის ხაზით, რადგან არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ტოტემური აკრძალვა, პირველ რიგში, ვაჟის ინცესტური ლტოლვებისკენ იყო მიმართული.

ამგვარად, ველურები ინცესტური კავშირის მიმართ უჩვეულო შიშს ავლენენ და ინცესტისადმი განსაკუთრებული მგრძობილობით გამოირჩევიან, რომელიც ჩვენთვის უცხო თავისებურებასთანაა დაკავშირებული, კერძოდ, რეალური სისხლით ნათესაობის ჩანაცვლებასთან ტოტემური ნათესაობით. მოდი, ამ წინააღმდეგობას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ და უბრალოდ, დავიმახსოვროთ, რომ ტოტემური აკრძალვები რეალურ ინცესტს ცალკეულ შემთხვევად მიიჩნევენ.

თუმცა აუხსნელია, რამ გამოიწვია ნამდვილი ოჯახის ჩანაცვლება ტოტემის კლანით და ამ საკითხს, შეიძლება, თავად ტოტემის არსში გარკვევამ მოჰფინოს ნათელი. ისიც უნდა გავიაზროთ, რომ თავისუფალი სექსუალური ცხოვრება, რომელიც სისხლით ნათესაობასაც და ინცესტურ აკრძალვასაც საექვოს ხდის, ამ აკრძალვის სხვა დასაბუთების მოძებნის აუცილებლობას ბადებს. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ავსტრალიელების წეს-ჩვეულებები იმგვარ სოციალურ პირობებსა და საზეიმო შემთხვევებს აღიარებს, რომლებიც ქალზე მამაკაცის ჩვეულებრივ უფლებას გამოირიცხავს.

ამ ავსტრალიელი ტომების<sup>1</sup> ენა ერთ თავისებურებას ავლენს, რომელიც, უდავოდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხს უკავშირდება. ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები გულისხმობს არა ორი ინდივიდის, არამედ ინდივიდისა და ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულებას. ლ. ჰ. მორგანის [1877] აზრით, ეს სიტყვები „საკლასიფიკაციო“ სისტემის ნაწილებია. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული „მამად“ მოიხსენიებს არა მარტო თავის მშობელს, არამედ ნებისმიერ მამაკაცს, რომელსაც, მისი ტომის წესის თანახმად, შეეძლო დედამისზე ექორწინა და ამდენად, მისი მამა გამხდარიყო; მშობელი დედის გარდა, დედას ის უწოდებს ნებისმიერ ქალს, რომელიც შეიძლება მისი დედა ყოფილიყო ისე, რომ ტომის კანონები არ დაერღვია; „დებად და ძმებად“ მიიჩნევენ არა მარტო თავისი ნამდვილი მშობ-

<sup>1</sup> როგორც ეს ტოტემისტური ხალხის უმრავლესობაშია.

ლების შეილება, არამედ ყველა ზემოთ დასახელებული პიროვნე-  
ბის შეილება. ასე რომ, ნათესაური სიტყვები, რომლებითაც ორი  
ავსტრალიელი ერთმანეთს მოიხსენიებს, სისხლით ნათესაობაზე  
არ მიუთითებს, როგორც ეს ჩვენს ენობრივ გამოცდილებაშია; ეს  
ცნებები უფრო სოციალური კავშირების აღმნიშვნელია, ვიდრე ფი-  
ზიკურისა. ამ საკლასიფიკაციო სისტემის მსგავსს ვხვდებით ბავ-  
შვებთან, როცა მათ აიძულებენ, მშობლების მეგობარ ქალს ან კაცს  
„ბიძა“ და „დეიდა“ დაუძახონ, ან როცა გადატანილი მნიშვნელობით  
ვხმარობთ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „ქრისტესმიერი დები“ და  
„აპოლონისმიერი ძმები“.

სიტყვათა ამ ჩვენთვის უცნაურ მნიშვნელობებს ადვილად მოე-  
ფინება ნათელი, თუ ჩავთვლით, რომ ისინი ქორწინების იმ ინსტი-  
ტუტის გადმონაშთია, რომელსაც ლ. ფიზონმა „ჯგუფური ქორ-  
წინება“ უწოდა. „ჯგუფური ქორწინების“ არსი ის გახლავთ, რომ  
გარკვეული რაოდენობის მამაკაცს ენიჭება გარკვეული რაოდენო-  
ბის ქალზე სექსუალური უფლება. ჯგუფური ქორწინების შედეგად  
გაჩენილი ბავშვები ერთმანეთს სრულიად სამართლიანად მიიჩნე-  
ვენ დებად და ძმებად, მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვადასხვა  
დედა ჰყავთ და ჯგუფის ყველა მამაკაცი საკუთარ მამად მიაჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი, მაგ., ბ. ვესტერ-  
მარკი, თავის „ქორწინების ისტორიაში“ (1902) არ ეთანხმება იმ  
დასკვნებს, რომლებიც დანარჩენ ავტორებს ენაში ნათესაობის აღ-  
მნიშვნელი სიტყვების ანალიზის საფუძველზე გამოაქვთ, ავსტრა-  
ლიის ველური ტომების ყველა საუკეთესო მკვლევარი ნათესაო-  
ბის აღმნიშვნელ სიტყვებს ჯგუფური ქორწინებისდროინდელ გად-  
მონაშთად თვლის. სპენსერისა და გილენის (1899 [64]) თანახმად,  
ურაბუნასა და დიერის ტომებში დღესაც გვხვდება ჯგუფური ქორ-  
წინების გარკვეული ფორმა. ასე რომ, ამ ტომებში ინდივიდუალურ  
ქორწინებას ჯგუფური ქორწინება უსწრებდა, რომელმაც ენასა და  
ტრადიციებში ღრმა კვალი დატოვა.


თუ ინდივიდუალურ ქორწინებას ჯგუფური ქორწინებით შევ-  
ცვლით, მაშინ სრულიად გასაგები გახდება ინცესტის გადაჭარბე-



ბული შიში ამ ტომებში. ტოტემის ეგზოგამია და ერთი კლანის წევრებს შორის სექსუალური აკრძალვა ჯგუფური ინცესტის თავიდან აცილების მიზანშეწონილი ხერხია.

როგორც კი დავუშვებთ, რომ ნათელი მოვფინეთ ავსტრალიელი ველური ტომების ქორწინების შეზღუდვის მოტივაციას, მაშინვე აღმოვაჩინებთ, რომ არსებობს კიდევ უფრო დიდი, ერთი შეხედვით, დამაბნეველი სირთულე. ავსტრალიაში ძალიან ცოტაა ისეთი ტომი, რომლისთვისაც უცხოა ყველა სხვა აკრძალვა, გარდა იმისა, რასაც ტოტემი აწესებს. ტომების უმრავლესობა საქორწინო კლასებად (ინგლისურად: phratries) წოდებულ ორ ჯგუფად იყოფა. თითოეული ეს ჯგუფი ეგზოგამიურია და მრავალ ტოტემურ ოჯახს მოიცავს. ჩვეულებრივ, თითოეული საქორწინო ჯგუფი ორ ქვეკლასად (sub-phratries) იყოფა, მთელი ტომი კი, შესაბამისად – ოთხ კლასად.

ავსტრალიური ტომის ტიპური სქემა, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება, შემდეგნაირად გამოიყურება:



თორმეტი ტოტემური ოჯახი ოთხ ქვეკლასსა და ორ კლასს შორისაა განაწილებული. ყოველი მათგანი ეგზოგამიურია<sup>1</sup>. c ქვეკლასი e-სთან ქმნის ეგზოგამიურ ერთიანობას, ქვეკლასი d კი – f-თან. შედეგი, ანუ ამ ინსტიტუტის ტენდენცია, ეჭვს არ იწვევს; ამ მეთოდით იზღუდება საქორწინო არჩევანი და სექსუალური თავისუფლება. თორმეტი ტოტემური ოჯახი რომ არსებულებოდა, მაშინ ერთი ოჯახის თითოეულ წევრს – თუ დავუშვებთ, რომ ყოველი ოჯახი თანაბარი

<sup>1</sup> ტოტემის რაოდენობა შემთხვევითობის პრინციპით არის დასახელებული.

რაოდენობის ადამიანისაგან შედგება – ტომის 11/12 ქალის არჩევის უფლება ექნებოდა. ორი ოჯახის არსებობა ამ რაოდენობას ანახევრებს ( $6/12=1/2$ );  $\alpha$  ტოტემის მამაკაცს შეუძლია ექვსივე ტომის ქალზე იქორწინოს. ორივე ქვეკლასის არსებობა ამ არჩევანს ამცირებს ( $3/12=1/4$ ); ამ შემთხვევაში  $\alpha$  ტოტემის მამაკაცი იძულებულია მე-4-6 ტოტემების ქალის არჩევით შემოიფარგლოს.

საქორწინო კლასების – რომლებიც ზოგიერთ ტომში რვას შეადგენს – ისტორიული კავშირი ტოტემურ ოჯახებთან ბუნდოვანია. თუმცა კი ერთი რამ ცხადია: ეს ინსტიტუტები იმავეს ისახავს მიზნად, რასაც ტოტემური ეგზოგამია და ალბათ, უფრო მეტსაც, მაგრამ თუ ტოტემური ეგზოგამია, რომელიც არავინ იცის, როდის წარმოიშვა, წმინდათაწმინდა წესების, ანუ ტრადიციის, შთაბეჭდილებას ტოვებს, ქორწინების რთული ინსტიტუტი თავისი ქვედანაყოფებით და მასთან დაკავშირებული პირობებით, სავარაუდოდ, ინცესტის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად, რადგან ტოტემის გავლენამ დროთა განმავლობაში საგრძნობლად იკლო. ტოტემის სისტემა, როგორც ცნობილია, ტომის სოციალური ვალდებულებებისა და ზნეობრივი შეზღუდვის საფუძველს შეადგენს, ფრატრიები (ოჯახები) კი ქორწინების არჩევანს აწესრიგებს.

საქორწინო კლასების შემდგომი განვითარება გულისხმობს შორეულ ნათესაურ ჯგუფებს შორის ბუნებრივი და ჯგუფური ინცესტის შეზღუდვას ისე, როგორც კათოლიკურმა ეკლესიამ განავრცო და-ძმას შორის ოდითგან არსებული ქორწინების შეზღუდვა სისხლით ნათესავეებსა და სულიერ ნათესავეებზეც კი (ნათლიებსა და ნათლულებზე) (ლენგი, 1910-11 [87]).

ჩვენ მიზანი არც საქორწინო კლასების წარმოშობასა და მათ მნიშვნელობაზე რთულ და ბუნდოვან დისკუსიაში ჩართვა გახლავთ და არც ტოტემთან მათი დამოკიდებულების ღრმად შესწავლა. საკმარისია, მხოლოდ იმ ფაქტზე მივუთითოთ, რომ ავსტრალიელი და სხვა ველური ტომები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან ინცესტის პრობლემას. უნდა ითქვას, რომ ინცესტის მიმართ ისინი გაცილებით მგრძნობიარენი არიან, ვიდრე ჩვენ. სავარაუდოდ,

მათი ცდუნების საფრთხე ჩვენსას აღემატება და ამდენად, მისგან დაცვაც მეტად სჭირდებათ.

ამ ტომებში ინცესტით გამოწვეული შიში მხოლოდ ჯგუფური ინცესტის წინააღმდეგ ზემოთ აღწერილი ინსტიტუტების შექმნით არ კმაყოფილდება. აქვე უნდა დავასახელოთ ახლო ნათესავებს შორის ინდივიდუალური სექსუალური კავშირის ამკრძალავი სხვადასხვა „ადათ-წესი“, რომლებსაც ტომის წევრები რელიგიური სიმკაცრით იცავენ და რომელთა მიზანი იოტისოდენა ეჭვსაც არ ბადებს. ამ ადათ-წესებს თუ ამ ადათ-წესებით დადგენილ აკრძალვებს შეგვიძლია „თავის არიდება“ (avoidances) ვუწოდოთ. მკითხველს არსებული მდიდარი მასალიდან მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს გავაცნობ.

მელანეზიაში ასეთი აკრძალვები გულისხმობს ვაჟიშვილის ურთიერთობის შეზღუდვას დედასა და დებთან. მაგ., ახალი ჰებრიდების ერთ-ერთ კუნძულზე ბიჭი გარკვეულ ასაკში ტოვებს დედის სახლს და საცხოვრებლად ე. წ. „საკლუბო სახლში“ გადადის, სადაც იკვებება და სძინავს, თუმცა შეუძლია სახლში მივიდეს და საჭმელი ითხოვოს. იმ შემთხვევაში, თუ სახლში დები დახვდნენ, ის დაუყოვნებლივ ტოვებს იქაურობას; თუ დები სახლში არ არიან, მაშინ ბიჭი საჭმელად კართან ჯდება. თუ და-ძმა ერთმანეთს შემთხვევით ღია ცის ქვეშ შეხვდა, ისინი ერთმანეთს გაურბიან და იმალებიან; თუ ძმამ ქვიშაზე დის ნაფეხურები იცნო, ის ამ ნაფეხურებს ვერ გაჰყვება ისევე, როგორც და – ძმისას. უფრო მეტიც, ძმას არ აქვს უფლება, წარმოთქვას დის სახელი და არც იმ სრულიად ჩვეულებრივი სიტყვის თქმის უფლება აქვს, რომელიც შეიძლება დის სახელის შემადგენელი ნაწილი იყოს. ეს შეზღუდვა, რომელიც ბიჭის მამაკაცად კურთხევის ცერემონიიდან იწყება, მთელი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებს ძალას. დედასა და ვაჟიშვილს შორის დისტანცია წლებთან ერთად იზრდება და თავშეკავებას უფრო დედა გამოხატავს. დედას არ აქვს უფლება, ხელიდან ხელში გადასცეს ვაჟიშვილს საჭმელი: როცა მას ვაჟისთვის საჭმელი მიაქვს, ის მას ფეხებთან უდებს; დედა ვაჟიშვილს ალერსიანად ვერ მიმართავს და მას „შენობით“ კი

არ ელაპარაკება, არამედ იმ ფორმით, რომელიც ჩვენს ენაში „თქვენობით“ შეესაბამება<sup>1</sup>. იგივე ადათ-წესები გვხვდება ახალ კალენდონიაშიც. როცა და-ძმა ერთმანეთს ხვდება, და ბუჩქებში იმალება, ძმა კი ისე ჩაუვლის, რომ მისკენ არც კი იხედება<sup>2</sup>.

ახალ ბრიტანეთში, გაზელის ნახევარკუნძულზე, დას ქორწინებისთანავე ეკრძალება ძმასთან ლაპარაკი, მას არც მისი სახელის წარმოთქმის უფლება აქვს და ძმას მხოლოდ აღწერიითი ფორმით მოიხსენიებს<sup>3</sup>.

ახალ მეკლენბურგში ეს აკრძალვა არა მარტო და-ძმაზე, არამედ ახლო თუ შორეულ ნათესავებზეც ვრცელდება. მათ არ აქვთ ერთმანეთთან მიახლოების, ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევისა და საჩუქრების მიერთმევის უფლება, თუმცა შეუძლიათ დაელაპარაკონ ერთმანეთს, ოღონდ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით. და-ძმას შორის ინცესტი სიკვდილით – ჩამოხრჩობით – ისჯება<sup>4</sup>.

ფიჯის კუნძულებზე „თავის არიდების“ წესები განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა და არა მარტო სისხლით ნათესავებს, არამედ ჯგუფურ დებსაც ეხება. ეს ფაქტი მით უფრო გვაოცებს, როცა ვიგებთ, რომ წმინდა ორგიების დროს, რომლებსაც ველური ტომები მართავენ, სექსუალურ ურთიერთობას სწორედ სისხლით ნათესავებთან ამყარებენ, თუმცა, მოდი, ნუ გავიკვირვებთ და ჯობს, დრო ამ წინააღმდეგობის ახსნას დავუთმოთ, რათა ამ აკრძალვის არსს უკეთ ჩავწვდეთ<sup>5</sup>.

სუმატრის ნახევარკუნძულზე ბატას ტომში ეს აკრძალვა ყველა ახლო ნათესავზე ვრცელდება. ბატას ტომის მამაკაცისთვის დაუშვებელია წვეულებაზე დასთან ერთად წასვლა. ძმა დის გვერდით თავს უხერხულად გრძნობს მაშინაც კი, როცა იქ სხვებიც არიან. როცა ერთ-ერთი მათგანი სახლში შემოდის, მეორე მასთან დარჩენას

---

<sup>1</sup> ფრეიზერი (1910, ტ. 2, 77).

<sup>2</sup> იქვე, 78.

<sup>3</sup> იქვე, 124.

<sup>4</sup> იქვე, 130.

<sup>5</sup> იქვე, 146.